ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7187058

ნომერი: AR11052128

თარიღი : 07.08.2024

გაცემის თარიღი : 20.08.2024

გაცნობის თარიღი : 20.08.2024

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება დიდი დიღომი , მიკრო/რაიონი IV , კორპ. N25-ის მიმდებარედ , ნაკვ.04/025;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი გოგოხია პ/ნ 62006054878
- უნივერსიტეტის 3

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 26 ივლისის №7152653 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2024 წლის 07 აგვისტოს №AR11052128 განცხადებით მომართა ირაკლი გოგოხიამ და მოითხოვა სამსახურის 2024 წლის 26 ივლისის

№7152653 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2024 წლის 26 ივლისის №7152653 ბრძანებით №01.10.07.004.066 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2024 წლის 26 ივლისიდან 2027 წლის 26 ოქტომბრის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის 2024 წლის 26 ივლისის №7152653 ბრძანებით შეთანხმებულ გეგმებზე ზოგიერთ ბინაზე არასწორად იქნა მითითებული საცხოვრებელი ფართობი და ბინის ნომერი. შესაბამისად, ითხოვს წარმოდგენილი გეგმების ჩანაცვლებას. განმცხადებელს, ასევე, სურს ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად ცალკე ფართობად ღია ავტოსადგომების ფართობის 1051.3 კვ.მ-ის დაფიქსირება.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ წარმოდგენილი გეგმები არ იცვლება, აღნიშნულ გეგმებზე გასწორებულია მხოლოდ, ბინების ჯამური (საცხოვრებელი და საზაფხულო) კვადრატულობები და ნუმერაცია. ამასთან, აღნიშნულ გეგმებზე ფართობების გასწორება არ იწვევს სამსახურის 2024 წლის 26 ივლისის №7152653 ბრძანებაში დაფიქსირებული საცხოვრებელი და საზაფხულო ფართობების გასწორებას.
სამსახურმა ასევე, დაადგინა, რომ შეთანხმებულ „ა“ და „ბ“ ბლოკების გარე ავტოსადგომების გეგმებზე ჯამურად მდებარეობს 82 ღია ავტოსადგომი და მათი საერთო ფართობი შეადგენს 1051.3 კვ.მ-ს. ამასთან, წარმოდგენილი 0.00 ნიშნულის გეგმა („ა“ ბლოკი) და გარე ავტოსადგომების („ა“ და „ბ“ ბლოკები) გეგმები არ იცვლება აღნიშნულ გეგმებზე ხდება მხოლოდ ღია ავტოსადგომების ზომების დაზუსტება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,
ვბრძანებ:
1.გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 26 ივლისის №7152653 ბრძანებაში და აღნიშნულ ბრძანებაში ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე ფართობად დაფიქსირდეს ღია ავტოსადგომების ფართობი 1051.3 კვ.მ.
2.ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 26 ივლისის №7152653 ბრძანებით შეთანხმებული „ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41-ე დადგენილების შესაბამისად დამუშავებული „ა“ ბლოკის 0.00, +3.40, +12.55 და +33.90 ნიშნულების გეგმები, ასევე, გარე ავტოსადგომების გეგმა („ა“ ბლოკი) და გარე ავტოსადგომების გეგმა („ბ“ ბლოკი) ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი ამავე გეგმებით.
3.ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 26 ივლისის №7152653 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4.წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 26 ივლისის №7152653 ბრძანებასთან ერთად.
5.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.